



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის მიზნები და ამოცანები**

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიზანია, თავისი ინტელექტუალური რესურსი აქტიურად ჩართოს ფაკულტეტის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და კვლევებში.

ინსტიტუტი თავის მიზნებსა და ამოცანებს ხედავს, ერთი მხრივ, სტუდენტებში დარგისა და სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესის გაღვივებაში და, მეორე მხრივ, ლიტერატურათა ურთიერთობების, ურთიერთმიმართებების, მათი ისტორიისა და განვითარების პერსპექტივების, ლიტერატურათა ურთიერთზემოქმედების, ურთიერთგავლენის კვლევაში, რაც გულისხმობს სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურას შორის განსხვავებებისა და მსგავსების შესწავლას, ლიტერატურულ მოვლენათა კანონზომიერებების წარმოჩენას, ლიტერატურული მოვლენების ტიპოლოგიური მიმართებების დადგენასა და კონტაქტური კავშირების კვლევას; ლიტერატურათა ეროვნული თავისებურებების, მათი სპეციფიკის, ჩვენებას და ეროვნული ლიტერატურის მონაწილეობას მსოფლიო სალიტერატურო პროცესში და მისი ადგილის განსაზღვრას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ინსტიტუტი ამ პროცესებთან აქტიურ კავშირში ხედავს და შეისწავლის თარგმანს, როგორც კულტურათა და ლიტერატურათა დიალოგის უმნიშვნელოვანეს ფორმას.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Educational-Research Institute for Translation and Literary Relations

Aim of Educational-Research Institute for Translation and Literary Relations is to use its intellectual resource in on all three steps of the faculty educational programs and research projects.

Institute sees its purpose on the one hand in stirring interest of students towards the field and scientific research and on the other hand researching literary relations, interrelations, their history and development perspectives, literatures' interaction, mutual influence, which means demonstrating patterns and differences between different national literatures, establishing typological connections between literature phenomena and researching contact relations. Showing literatures' national peculiarities and its specifics and participation of national literature in world literature process and determining its place in the history of world literature.

Institute in active relation to these process, sees translation and will research it as the most crucial form of cultural and literary dialogue.